III კლასი 2025 წელი ლიდერი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

მასწავლებელი _____

დავალებები ფასდება 2 ქულით

1. ანას 42 ლარი აქვს. მან ამ ფულით 7 ლარიანი წიგნები შეიძინა. რამდენი წიგნი შეიძინა ანამ თუ მას 14 ლარი დარჩა?

ა) ერთი ბ) ოთხი გ) ორი დ) სამი

დავალება ფასდება 3 ქულით

2. ნათიამ ხუთ ხუთეულს მიუმატა ექვსი ექვსეული და მიღებულს გამოაკლო შვიდი შვიდეული. რა რიცხვი მიიღო ნათიამ?

ა) ორი ცალი შვიდეული
ბ) სამი ცალი ოთხეული
გ) ოთხი ცალი ოთხეული
დ) სამი ცალი ექვსეული

დავალებები ფასდება 5 ქულით

3. ნატომ 125 გააორმაგა, მიღებულ რიცხვს გამოაკლო ას ცხრამეტი. რა რიცხვი უნდა გამოაკლოს მიღებულ რიცხვს რომ მიიღოს 9 ათეული?

ა) 20 ბ) 40 გ) 42 დ) 41

4. რა რიცხვზე უნდა გავამრავლოთ რიცხვი 7, რომ მიღებული რიცხვი გაიყოს 6 -ზე; 7 -ზე და 2 -ზე?

ა) 4 -ზე ბ) 3 -ზე გ) 5 -ზე დ) 6 -ზე

დავალებები ფასდება 7 ქულით

5. სამი ერთნაირი პიცა ერთად ოთხი ლარით ძვირი ღირს ვიდრე ერთი რვალარიანი ხაჭაპური. რა ღირს ერთი პიცა?

ა) 6 ლარი ბ) 3 ლარი გ) 4 ლარი დ) 12 ლარი

6. ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან რომელია მცდარი?

ა) $6 \cdot 8 + 2 \cdot 7 = 62$
ბ) $63 - 7 \cdot 8 = 7$
გ) $8 \cdot 7 + 3 \cdot 6 = 72$
დ) $8 \cdot 9 - 2 \cdot 6 = 60$

7. ნინომ 424 - სა და 438 - ის უახლოესი ათეულები შეკრიბა. ლილემ კი უახლოესი ხუთეულები. ვინ მიიღო მეტი რიცხვი და რამდენით?

ა)ნინომ 10 - ით მეტი
ბ) ლილემ 5 -ით მეტი
გ) ტოლი რიცხვები მიიღეს
დ) ამის გაგება შეუძლებელია

დავალებები ფასდება 8 ქულით

8. 180 გვერდი წიგნის ნახევარია. რამდენგვერდიანია წიგნი?

ა) 90 ბ) 360 გ) 270 დ) 380

9. გიორგიმ გამოცდა გუშინწინ ჩააბარა. რა რიცხვში ჩააბარა გიორგიმ გამოცდა თუ ზეგ 12 ივნისია?

ა) 8 ივნისი ბ) 9 ივნისი გ) 10 ივნისი დ) 7 ივნისი

10. ყუთში ფანქრების რაოდენობა კალმების რაოდენობაზე 2 - ით მეტია. ყუთში ჩადეს 11 ფანქარი და 15 კალამი. რამდენით მეტი კალამია ყუთში?

ა) 15 -ით ბ) 11 -ით გ) 4 -ით დ) 2 -ით

დავალებები ფასდება 10 ქულით

11. ყუთში სხვადასხვა ფერის 28 ფანქარია. სულ მცირე რამდენი ფანქარი დარჩება ყუთში თუ ნინი, სანდრო და ლუკა ერთი და იგივე რაოდენობის ფანქრებს ამოიღებენ?

ა) 1 ბ) 2 გ) 4 დ) 3

12. ნინო ბებო მეხუთე სართულზე ცხოვრობს და ყოველთვის ფეხით ადის სახლში. ყოველი სართულის გავლისას იღლება და 5 წუთი ისვენებს, ხოლო ყოველი სართულის ავლას 3 წუთს ანდომებს. რამდენ წუთში ავა ნინო ბებო სახლში?(პირველი სართული მიწის პირას არის)

ა) 40 წთ ბ) 35 წთ გ) 32 წთ დ) 30 წთ

13. გიორგი და ანდრია ტყუპები არიან. გიორგის 3 და და ერთი ძმა ჰყავს. სულ რამდენი და - ძმაა ოჯახში?

ა) 8 ბ) 6 გ) 5 დ) 7

14. მაშო ნაყინის რიგში მეცხრე დგას. მის უკან ხუთი ბიჭი და ოთხი გოგონა დგას, ხოლო მის წინ ხუთი გოგონა და ერთი ბიჭი. სულ რამდენი გოგონა დგას რიგში?

ა) ცხრა ბ) რვა გ) შვიდი დ) ათი